თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6512811

ნომერი: AR1970789

თარიღი : 07.06.2023

გაცემის თარიღი : 15.06.2023

გაცნობის თარიღი : 15.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვახუშტი ბაგრატიონის , ქუჩა N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ბარამაშვილი პ/ნ 14001027185
- დედოფლისწყარო ს. ქვემო ქედი მე–10 ქ. N 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 07 ივნისს №AR1970789 განცხადებით მომართა იოსებ ბარამაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 28

ოქტომბრის №6183282 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებით შეთანხმდა №01.13.07.002.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ოფისის არქიტექტურული პროექტი. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 2023 წლის 20 აპრილის №AR1959667 განცხადება მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ: ოფისისთვის განსაზღვრულ კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 202 კვ.მ-ის ნაცვლად 217 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებით შეთანხმებულ +3.50 ნიშნულის გეგმაზე მე-2 სართულის სიმაღლე შეადგენს 2.20 მეტრს (არასრული სართული), შესაბამისად აღნიშნული სართული არ იანგარიშება კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში. აღნიშნულის გათვალისწინებით ოფისისთვის განსაზღვრულ კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 186.9 კვ.მ-ს.
ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-18 მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განსაზღვრავს, თუ შენობა-ნაგებობის სრული სართულების და მანსარდის (1,6 მ-ის ზემოთ) ჯამური ფართის რა რაოდენობა არის დასაშვები შესაბამისი ტერიტორიის თითოეულ კვადრატულ მეტრზე, ამასთან, მანსარდის ფართი არ დაიანგარიშება ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ზონებში სზ-1 და სზ-2.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების „კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში)“ ველში დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: კ2=კორპუსი 7257.7/1807.0=4.0. კ2=ოფისი 186.9/1807=0.1, კ2 ჯამურად - 186.9+7257.7=7444.6/1807=4.1.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 ოქტომბრის №6183282 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.